სიზმარი

ერთხელ მხოლოდ, - ისიც ძილში, -
ქართველ ქალთა ვნახე კრება;
გეფიცებით, მისი ნახვა
ახლაც ისევ მენატრება!

ტახტზე იჯდა თამარ მეფე,
მომხიბლავი, ეშხიანი!...
მარცხნით უდგა თინათინი,
მარჯვნით დ ნესტან-დარეჯანი.

გარს ეხვიენ სხვა ქალებიც,
როგორც მთვარეს ვარსკვლავთ კრება,
ცალ-ცალკე და ყველა ერთად,
სიცოცხლე და ნეტარება!...

შემოვიდა რუსთაველი,
ის სულმნათი და მგოსანი,
ხელში ეპყრა მოწიწებით
მისი ნვეფხის-ტყაოსანინ.

თაყვანი სცა სწორუპოვარს,
მის წინ მუხლი მოიყარა...
გაიღიმა ტახტზე მჯდომმა
და ცრემლები გადმოღვარა!..

მზის ჭიატის დარი იყო
უცნაური ის ღიმილი
და თვით გრძნობის ორჭოფობაც
ცრემლში იყო ჩალესილი:

მასაც მგოსნის თანაგრძნობა
გულში ედვა, როგორც ქალსა,
მაგრამ უნდა დაეჭირა
თავი, როგორც დედოფალსა!

ბრძანა: ნგმადლობ, ვერ გადვიხდი,
როგორც მეფე, დღეს შენს ვალსა, -
უკვდავების მოსახვეჭად
მიგაპირებ მომავალსა!...ნ

მიუბრუნდა მერე ის მდგომ
ნესტანსა და თინათინსა:
ნთქვენ გილოცავთ ამქვეყნიურ

სიყვარულს და შვება-ლხინსა:

გიანდერძებთ საქმროდ ყველას
ტარიელსა და ავთანდილსა,
რომ ქართველი ქართველ გმირად
გამოზრდიდეს შვილიშვილსა!ნ

ეს რომ ბრძანა, ნათელ სვეტად
გადმოეშვა ცისარტყელა:
აიტაცა შუქმა შუქი
და მას გაჰყვა თანვე ყველა!

მე კი დავრჩი... შემეშინდა!...
მიმოვავლე გარს თვალები
და რა ვნახე იმათ ნაცვლად?!...
სხვა ხალხი და სხვა ქალები!...

არც თამარი, არც თინათინ,
აღარც ნესიან-დარეჯანი!...
აღრც ერთს არ ეტყობა
ქართველობის რომ ნიშანი!..

გული დამწყდა!... გამეღვიძა,
ნაღვლიანად გამეცინა!..
ვთქვი: ნნეტავი არ მენახა,
საუკუნოდ დამეძინა!..!

1898 წ.